

## შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, შპს „აკვაჰიდროს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 17 აგვისტოს „ხელრა ჰესის“ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

12 იანვარი, 2017 წ.

წინამდებარე შეთანხმება დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ;

შპს „აკვაჰიდრო“, ს/კ: 443860252, წარმოდგენილი დირექტორის, დავით კობერიძის მიერ;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, ს/კ: 204995176, წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, სულხან ზუმბურიძის მიერ;

სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“, ს/კ: 211324468, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, რომეო მიქაულტაძის მიერ;

შპს „ენერგოტრანსი“, ს/კ: 204991786, წარმოდგენილი დირექტორის, კახა სეხნიაშვილის მიერ;

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ.

მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას მათ შორის 2015 წლის 17 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი №3 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული სახით.
2. მემორანდუმის მუხლები და დებულებები, ისევე, როგორც სხვა დანართები, დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ექვს თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „აკვაპიდრო“

დავით კობერიძე

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სულხან ზუმბურიძე

სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“

რომეო მიქაუტაძე

შპს „ენერჯისერვისი“

კახა სესთიაშვილი

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე

დანართი N3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი		დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - 12 თვე	ექსპლუატაციაში მიღება
13 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან		24 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		



## საქართველოს მთავრობის ბანკარკულეა

№2524 2016 წლის 9 დეკემბერი ქ. თბილისი


საქართველოს მთავრობას, შპს „აკვაჰიდროს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 17 აგვისტოს „ხელრა ჰესის“ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „აკვაჰიდროს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმება ამავე მხარეებს შორის 2015 წლის 17 აგვისტოს „ხელრა ჰესის“ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ

შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010146119921316

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№7617

25 / ნოემბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 22 ნოემბრის №04/4630 წერილით წარმოდგენილი საქართველოს შთაერთბას, შპს „აკვაშიდროს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერჯოტრანსსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 17 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმებში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტები, რომლებთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

**გ. დაბეჭიფანიძე**

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, პარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1345  
24/11/2016

1345-01-2-201611241543



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
შოადგილეს ბატონ ირაკლი ხმაღაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 22 ნოემბრის N04/4628 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „აკვაჰიდროს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 17 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი (იფარი ჰესი, ნაკრა ჰესი და ხელრა ჰესი), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი


OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

საქრუსენერგომ

სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა

SAKRUSENERGO

JSC UNITED ENERGY SYSTEM



N 05/1011  
22/11/2016

1011-05-2-201611221823



საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

განვიხილეთ თქვენი 2016 წლის 22 ნოემბრის #04/4628 წერილი საქართველოს მთავრობას, შპს „აკვაჰიდროს“ (ნაკრა ჰესი, იფარი ჰესი, ხელრა ჰესი), სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერჯოტრანსსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 17 აგვისტოს გაფორმებულ მემორანდუმებში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

რომეო მიქაუტაძე

გენერალური დირექტორი





საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Barataashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101



5605-09-2-201611251007

N 5605/09

25/11/2016

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ განიხილა თქვენი 2016 წლის 22 ნოემბრის N04/4628 წერილი, რომლითაც წარმოდგენილი გაქვთ საქართველოს მთავრობას, შპს „აკვაპიდროს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 17 აგვისტოს „იფარი ჰესის“, „ნაკრა ჰესის“, „ხელრა ჰესის“ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმებში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტები.

წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

სულხან ზუმბურიძე

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი

[www.gse.com.ge](http://www.gse.com.ge)



# ენერგოტრანსი

საქართველო, თბილისი 0105, ზარათაშვილის 2/ 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

30/11/2016

N 710

710-01-2-201611301615



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2016 წლის 22 ნოემბრის #04/4628 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს „ენერგოტრანსმა“ განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „აკვაჰიდროს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 17 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმებში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტები, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,  
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი